## ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 12/05

ქ. თბილისი 2012 წ. 6 ივნისი

### I. მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია 2012 წლის 6 ივნისს, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ერთის მხრივ შპს „ენერგოტრანსს", წარმოდგენილი დირექტორის კახა სეხნიაშვილის სახით (შემდგომში „შემსყიდველი"), მეორეს მხრივ შპს "სენა ავტო", წარმოდგენილი დირექტორის ლევან გაბუნიას სახით და მესამეს მხრივ შპს „იბერია ავტო ლენდს", წარმოდგენილი დირექტორის ლევან გაბუნიას სახით (შემდგომში „მიმწოდებელი") შორის, რომლებიც მოქმედებენ საზოგადოების წესდებისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

### II. ხელშეკრულების საგანი

2.1. „მიმწოდებელი" უფლებამოსილია შპს „სენა ავტოს" მიერ, რათა განახორციელოს „შემსყიდველსა" და შპს „სენა ავტოს" შორის გაფორმებული 16.03.2011წ. №11/13 ხელშეკრულებების საგარანტიო პირობებიდან გამომდინარე, მანქანების ტექნიკური მომსახურება, კერძოდ, "მიმწოდებელი" ვალდებულია "შემსყიდველს" მიაწოდოს საქონელი თანმდევი მომსახურებით დანართი №1-ის (ფასების ცხრილი) და დანართი №2-ის (საგარანტიო სავალდებულო სამუშაოთა ჩამონათვალი გარბენის მიხედვით) მიხედვით, "შემსყიდველის" წერილობითი მოთხოვნის შესაბამისად, „შემსყიდველსა" და შპს „სენა ავტოს" შორის გაფორმებული 16.03.2011წ. №11/13 ხელშეკრულებების საგარანტიო პირობებიდან გამომდინარე (კლასიფიკატორის კოდი – 50110000, ავტომობილებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება).

2.2 დანართი №1 და №2 წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

### III. საქონლის ღირებულება და ანგარიშსწორების პირობები

3.1. ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულების დანართების №1-ს და №2-ს შესაბამისად და შეადგენს 8000 (რვაათასი) ლარს დ.ღ.გ.-ს ჩათვლით.

3.2 ანგარიშსწორება ხდება ფაქტობრივად მიღებულ საქონელზე (თანმდევი მომსახურებით) მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

3.4 საქონლის (თანმდევი მომსახურებით) ღირებულების ანაზღაურება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

### IV. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1. "მიმწოდებელი" მოვალეა:

4.1.1. გადასცეს "შემსყიდველს" ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალი საქონელი თანმდევი მომსახურებით "შემსყიდველის" წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 25 (ოცდახუთი) დღის განმავლობაში, 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ეტაპობრივად, გარბენის შესაბამისად (დანართი №2).

4.1.2 საქონლის (თანმდევი მომსახურებით) მიღების დროს თუ გამოვლინდება რაიმე ხარვეზი ან შეუსაბამობა, "მიმწოდებელი" ვალდებულია თავისი ხარჯებით გამოასწოროს ხარვეზი. თუ ეს შეუძლებელია, "მიმწოდებელმა" "შემსყიდველის" წერილობითი შეტყობინებიდან თხუთმეტი დღის ვადაში უნდა შეცვალოს საქონელი თანმდევი მომსახურებით.

4.2. "შემსყიდველი" მოვალეა:

ხელშეკრულება მანქანების საგარანტიო ტექ-მომსახურება. შპს "სენა ავტო", შპს „იბერია ავტოლენდი".

4.2.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების თანახმად გადაიხადოს მიწოდებული საქონლის და თანმდევი მომსახურების ღირებულება;

4.2.2 შეამოწმოს საქონლის (თანმდევი მომსახურებით) მდგომარეობა ვარგისიანობაზე;

4.2.3. წერილობით შეატყობინოს "მიმწოდებელს" მიღების ან ექსპლუატაციის დროს საქონელზე (თანმდევი მომსახურებით) შემჩნეული ნაკლის აღმოჩენისთანავე.

## V. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. "შემსყიდველისათვის" თანმდევი მომსახურებით საქონლის დაგვიანებით გადაცემის შემთხვევაში "მიმწოდებელი" მოვალეა გადაიხადოს პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტამდე.

5.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ცალმხრივად შეუსრულებლობისათვის მხარეებს ეკისრებათ ვალდებულება აანაზღაურონ მიყენებული ზარალი სრული მოცულობით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5.3. "შემსყიდველი" უფლებამოსილია მიწოდებული საქონლის (თანმდევი მომსახურებით) ღირებულების ანაზღაურებისას გამოქვითოს (შეამციროს ანაზღაურება) ამ მუხლით გათვალისწინებული და "მიმწოდებელზე" დარიცხული პირგასამტეხლოს თანხა.

5.4 „მიმწოდებლისათვის" ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში „შემსყიდველი მოვალეა გადაიხადოს პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1 %-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტამდე.

## VI. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 "შემსყიდველს" ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი „მიმწოდებლის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

6.2 "შემსყიდველის" მხრიდან ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს შპს „ენერგოტრანსის" ლოჯისტიკის სამსახურის უფროსი გრიგოლ ფუტკარაია.

## VII. ფორს-მაჟორი

7.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

7.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მათ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, ემბარგოს დაწესებით და სხვა.

7.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

ხელშეკრულება მანქანების საგარანტიო ტექ-მომსახურება. შპს "სენა ავტო", შპს „იბერია ავტოლენდი".

## VIII. ურთიერთობა მხარეებს შორის

8.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ტელეფონით, დეპეშის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით.

8.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

## IX. ხელშეკრულების პირობების შეცვლა და/ან ვადამდე მოშლა

9.1 ამ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება და/ან დამატება შეიძლება შეტანილი იქნეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე მოიშალოს:

9.2.1. მხარეთა შეთანხმებით;

9.2.2. ერთ-ერთი მხარის განცხადებით მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების არსებითად დარღვევის შემთხვევაში;

9.3 "შემსყიდველს" შეუძლია ხელშეკრულება ვადამდე შეწყვიტოს:

9.3.1. თუ "შემსყიდველისათვის" ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

9.3.2. "მიმწოდებლის" გაკოტრების შემთხვევაში;

9.3.3 თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ "მიმწოდებლის" მიერ მოწოდებული ინფორმაცია ყალბი აღმოჩნდება;

9.3.4. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

9.4 ამ მუხლის 9.3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში "შემსყიდველი" ვალდებულია აუნაზღაუროს "მიმწოდებელს" ფაქტიურად მიწოდებული საქონლის და თანმდევი მომსახურების ღირებულება.

## X. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

## XI. დავათა განხილვა

11.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა მოლაპარაკებების მეშვეობით, შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

ხელშეკრულება მანქანების საგარანტიო ტექ-მომსახურება. შპს "სენა ავტო", შპს „იბერია ავტოლენდი".

11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში მხარეები ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

## XII. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

12.1 საქონელი (თანმდევი მომსახურებით) მიღებულად ჩაითვლება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისთანავე.

12.2 საქონლის თანმდევი მომსახურებით მიღების დროს აღმოჩენილი ხარვეზების (წუნდების) შემთხვევაში "შემსყიდველი" ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს "მიმწოდებელს" სათანადო მიზეზები.

## XIII. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეებს შორის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

## XIV. ხელშეკრულების სხვა პირობები

14.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად და ყოველ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

14.2 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელ შემთხვევებში, მხარეები მოქმედებენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.

14.3 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები შესასრულებლად სავალდებულოა მხარეთათვის და მათი შესაბამისი სამართალმემკვდრეებისა და უფლებამონაცვლეთათვის. დაუშვებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების გადაცემა სხვა მხარისათვის მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.4 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები წარმოადგენს კონფედენციალურ ინფორმაციას და არ უნდა მოხდეს მათი გამჟღავნება სხვა მხარისათვის, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

## XV. მხარეთა რეკვიზიტები

| „შემსყიდველი“ | | „მიმწოდებელი“ |
|---|---|---|
| შპს „ენერგოტრანსი“<br>საიდენტიფიკაციო კოდი:<br>204991786<br>ფაქტ. მის. ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. №2 | შპს „სენა ავტო"<br>საიდენტიფიკაციო კოდი:<br>205175941<br>ფაქტ. მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-9 კმ. | შპს „იბერია ავტო ლენდი"<br>საიდენტიფიკაციო კოდი:<br>236095177<br>ფაქტ. მის: ქ. თბილისი, სოფელი დიღომი ნაკვეთი 034/107 |
| ს/ს „საქართველოს ბანკი“<br>ბანკის კოდი: BAGAGE22<br>№GE37BG0000000331415000 | ს/ს „საქართველოს ბანკი“<br>ბანკის კოდი: BAGAGE22<br>ა/ა №196443800 | ს/ს „საქართველოს ბანკი“<br>ბანკის კოდი: BAGAGE22<br>ა/ა №GE59BG0000000182943300 |
| ----------------<br>კახა სეხნიაშვილი<br>დირექტორი | ----------------<br>ლევან გაბუნია<br>დირექტორი | ----------------<br>ლევან გაბუნია<br>დირექტორი |

ხელშეკრულება მანქანების საგარანტიო ტექ-მომსახურება. შპს "ხენა ავტო", შპს „იბერია ავტოლენდი".

დანართი №1

# ფასების ცხრილი

პირველადი დეტალების, სახარჯი მასალების და სამუშაოთა ჩამონათვალი და ერთეულის ფასები საგარანტიო სავალდებულო სამუშაოების მიხედვით ( L-200)

| № | მომსახურების დასახელება | განზომილება | ავტონაწილების ღირებულება L-200 | | | მომსახურების ღირებულება L-200 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | რ-ბა | ფასი | სულ | რ-ბა | ფასი | სულ |
| 1 | ელექტროობის სრული დიაგნოსტიკა | | - | - | - | 1 | 60 | 60 |
| 2 | ჰაერის ფილტრი | (ცალი) | 1 | 90 | 90 | 1 | 5 | 5 |
| 3 | საწვავის ფილტრი | (ცალი) | 1 | 65 | 65 | 1 | 30 | 30 |
| 4 | ძრავის ზეთის ფილტრი | (ცალი) | 1 | 45 | 45 | 1 | 15 | 15 |
| 5 | ძრავის ზეთი | (ლიტრი) | 8 | 30 | 240 | | | |
| 8 | მექანიკურ გადაცემათა კოლოფის ზეთი | (ლიტრი) | 4 | 20 | 80 | 1 | 20 | 20 |
| 9 | განაწილებელ კოლოფის ზეთი | (ლიტრი) | 3 | 20 | 60 | 1 | 20 | 20 |
| 10 | წინა ხიდის ზეთი | (ლიტრი) | 2 | 20 | 40 | 1 | 20 | 20 |
| 11 | უკანა ხიდის ზეთი | (ლიტრი) | 2 | 20 | 40 | 1 | 20 | 20 |
| 12 | წინა სამუხრუჭო ხუნდები | (ცალი) | 1 | 250 | 250 | 1 | 25 | 25 |
| 13 | უკანა სამუხრუჭო ხუნდები | (ცალი) | 1 | 250 | 250 | 1 | 50 | 50 |
| 14 | სავალი ნაწილის შეკეთება | | - | - | - | 1 | 20 | 20 |
| 15 | ძრავის კბილანა ღვედების და გორგოლაჭების შეცვლა: | | | | | 1 | 300 | 300 |
| | ძრავის კბილანა ღვედის დამჭიმი | (ცალი) | 1 | 160 | 160 | | | |
| | ძრავის კბილანა ღვედის როლიკი | (ცალი) | 2 | 120 | 240 | | | |
| | ძრავის კბილანა ღვედი | (ცალი) | 1 | 180 | 180 | | | |
| | ბალანსირის ღვედი | (ცალი) | 1 | 120 | 120 | | | |
| | ბალანსირის დამჭიმი როლიკი | (ცალი) | 1 | 90 | 90 | | | |
| | დინამოს ღვედი | (ცალი) | 1 | 170 | 170 | | | |
| | ძრავის გარეთა ღვედი | (ცალი) | 1 | 90 | 90 | | | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16 | ანთების სანთლები („აბაბრევი”) | (ცალი) | 1 | 45 | 45 | 1 | 15 | 15 |

შენიშვნა:

ფასები მოცემულია ეროვნულ ვალუტაში და შეიცავს დ.ღ.გ-ს

**„შემსყიდველი“**

შპს „ენერგოტრანსი“

---------------------------

კახა სეხნიაშვილი

დირექტორი

შპს „სენა ავტო”

---------------------------

ლევან ჭაბუნია

დირექტორი

**„მიმწოდებელი“**

შპს „იბერია ავტოლენდი”

---------------------------

ლევან ჭაბუნია

დირექტორი

დანართი №2

**საგარანტიო სავალდებულო სამუშაოთა ჩამონათვალი გარბენის მიხედვით (L-200 – 2ცალი)**

ავტომობილის VIN ნომერი: MMBJNKB40BD017786; სახ. №SES229

ავტომობილის VIN ნომერი: MMBJNKB40BD017780; სახ. №SES228

1000 კმ გარბენაზე ავტომობილის სრული ელექტრული დიაგნოსტიკა უფასოა;
ყოველ 10 000 კმ გარბენაზე: შემოწმდეს (საჭიროების შემთხვევაში შეიცვალოს) ჰაერის ფილტრი;
ყოველ 20 000 კმ გარბენაზე: შემოწმდეს საჭის მექანიზმის ბუნიკები, სფერული სახსრები, სახსრების ჩიხოლები;
ყოველ 50 000 კმ გარბენაზე: შეიცვალოს ავტომატური გადაცემათა კოლოფის სითხე, ფილტრი;
ყოველ 80 000 კმ გარბენაზე: ძრავის ღვედები შეიცვალოს
ატომობილის ყოვლი ტექნიკური მომსახურეობის ჩატარებისას სასურველია შესრულდეს შემდეგი სამუშაოები:
შემოწმდეს სამუხრუჭო ხუნდების მდგომარეობა (საჭიროების შემთხვევაში შეიცვალოს);
შემოწმდეს სამუხრუჭო სითხის მდგომარეობა (საჭიროების შემთხვევაში შეიცვალოს);
შემოწმდეს საჭის ჰიდროგამაძლიერებლის სითხის მდგომარეობა;
შემოწმდეს საქარე მინის მწმენდის მდგომარეობა;
შემოწმდეს მაშუქი წინა და უკანა ფარების მდგომარეობა;
შემოწმდეს უსაფრთხოების ღვედების მდგომარეობა;
შემოწმდეს ძრავის გაგრილების სისტემის მილების მდგომარეობა, სითხის დონე;

| შესასრულებელი სამუშაოთა ჩამონათვალი | ავტომობილის გარბენი (კმ) | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1000 | 6000 | 14000 | 20000 | 22000 | 30000 | 38000 | 40000 | 46000 | 50000 | 54000 | 62000 | 60000 | 70000 | 78000 | 80000 | 86000 | 94000 | 100 000 |
| ძრავში ზეთის და ფილტრის შეცვლა/სავალი ნაწილის შემოწმება | + | + | + | | + | + | + | | + | | + | + | | + | + | | + | + | |
| ავტომატურ გადაცემათა კოლოფის ზეთის და ფილტრის შეცვლა | | | | | | | | | | + | | | | | | | | | + |
| მექანიკური გადაცემათა კოლოფის ზეთის შეცვლა | + | | | | | | | | | + | | | | | | | | | + |
| წინა და უკანა დიფერენციალში ზეთის შეცვლა | + | | | | | | | | | + | | | | | | | | | + |

ხელშეკრულება მანქანების საგარანტიო ტექ-მომსახურება. შპს "სენა ავტო", შპს „იბერია ავტოლენდი".

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გამანაწილებელ კოლოფში ზეთის შეცვლა | + | | | | | | | | | + | | | | | | | | | + |
| საწვავის (დიზელი) ფილტრის შეცვლა | | | | + | | | | + | | | | + | | | | + | | | + |
| ანთების სანთლების შეცვლა | | | | | | | | | | | | | | | | + | | | |
| ძრავის კბილანა ღვედების და გორგოლაჭების შეცვლა | | | | | | | | | | | | | | | | + | | | |

"+" ნიშნავს - სავალდებულო შესასრულებელი სამუშაოები.

**„შემსყიდველი"**

შპს „ენერგოტრანსი"

---

კახა სეხნიაშვილი
დირექტორი

შპს „სენა ავტო"

---

ლევან გაბუნია
დირექტორი

**„მიმწოდებელი"**

შპს „იბერია ავტოლენდი"

---

ლევან გაბუნია
დირექტორი